სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/78

ქ. თბილისი 26 მარტი 2018

სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, პროფ. ნ. შავიშვილის 2018 წლის 21 მარტის №01-09-33/1084 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №4 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად დანართში წარმოდგენილი პირობებისა და საგანთა ჯგუფის მიხედვით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**